შვიდწლიანი (გრძელვადიანი) სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა (2022-2028)

ედისონის სახელობის სკოლა ნოვაცია

ედისონის სახელობის სკოლა ნოვაციის შვიდწლიანი (გრძელვადიანი) სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა (2022-2028).
მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას; მისიას; ხედვას; სტრატეგიულ მიმართულებებს, პრიორიტეტებს; დროში გაწერილ განსახორციელებელ ღონისძიებებს/გეგმას. სამოქმედო გეგმა გათვლილი და გაწერილია 7 წლიან პერიოდზე. მისი გადახედვა ხდება საჭიროებისამებრ.

მისია

ედისონის სახელობის სკოლა ნოვაციის მისიაა ჯანსაღ და უსაფრთხო სასკოლო გარემოში მისცეს მოსწავლეებს განათლება მდგრადი განვითარებისთვის და აღზარდოს ისინი მაძიებელ, შემოქმედ, პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად.

ხელი შეუწყოს მოსწავლეებში:

- სამეწარმეო უნარების განვითარებას და სასკოლო საზოგადოების ინიციატივების წახალისებას;
- გარემოზე, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის, კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის უნარ-ჩვევების ფორმირებას.

მისია მიიღწევა:

- მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენის, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარების ხელშეწყობით, თავისუფალი, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების წახალისებით, შემოქმედებითი უნარების განვითარებით;
- ისეთი სასკოლო გარემოს ფორმირებით, რომელიც ეფუძნება ზოგადსაგანმანათლებლოდაწესებულების თვითშეფასებასა და სწავლა/სწავლების ისეთ გააზრებულ პრაქტიკას, სადაც სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია საგანამანათლებლო საქმიანობის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე, მხარდამჭერი სასკოლო კულტურის წახალისებაზე, საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებასა და დანერგვაზე.

მისია მოიცავს საქმიანობის მიმდინარე მიზნებს და აცხადებს იმ ორგანიზაციულ ღირებულებებს, რომლებიც წარმოადგენს სკოლის ფუნქციონირების საფუძველსა და მამოძრავებელ ძალას.

შვიდწლიანი (გრძელვადიანი) სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა (2022-2028)

სკოლის ღირებულებები:

- პროფესიონალიზმი;
- მრავალფეროვნება და ტოლერატობა;
- თავისუფლება;
- შედეგზე ორიენტაცია;
- ჩართულობა და მონაწილეობა;
- გუნდურობა.

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. სკოლის განვითარებისათვის აუცილებელია - სკოლის სტრატეგიის ფორმულირება, რომელშიც გაცხადებული იქნება სკოლის მიდგომა და ხედვა, რომელსაც ირჩევს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად და გათვლილია ექვსწლიან პერიოდზე. მასში ასახულია სკოლის გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, მიზნების მიღწევის გზები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები, საშუალებები და მისი შედეგები. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება შესაძლებელია შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებითა და ობიექტური ანალიზით. შესაბამისად, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა უნდა მოხდეს პერიოდულად.

სტრატეგიული დაგეგემვის მეთოდოლოგია

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სკოლა იცავს შემდეგ პრინციპებს:

- გუნდურობა
- თანამონაწილეობა
- გამჭვირვალობა

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

შვიდწლიანი (გრძელვადიანი) სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა (2022-2028)

სკოლის ეფექტური ფუნქციონირების მიზნით გამოიყენება სტრატეგიული დაგეგმვის მიდგომა, რომელიც მოიცავს სტრატეგიული (შვიდწლიანი) გეგმისა და სამოქმედო (ერთწლიანი) გეგმის შემუშავებას. სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი სამუშაოების შესასრულებლად, მოქმედი სტრატეგიული განვითარების გეგმის ვადის ამოწურვის გათვალისწინებით, დირექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება სტრატეგიული განვითარების გეგმის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემმუშავებელი ჯგუფი დგება სკოლის ადმინისტრაციის, სტრუქტურული ერთეულების, მასწავლებლების, მოსწავლეების და სხვა დაინტერესებული პირების წარმომადგენლობით. კვალიფიციური დახმარების აღმოჩენის მიზნით, სტრატეგიული მიზნების განსაზღვრისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის, შესაძლებელია დამოუკიდებელი ექსპერტკონსულტანტის მოწვევაც. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემმუშავებელ ჯგუფს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი. იგი ღებულობს გადაწყვეტილებას ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების განაწილებისა და შესასრულებელი სამუშაოს ვადების შესახებ. სკოლის სტრატეგია (შვიდწლიანი გეგმა) განსაზღვრავს სკოლის პრიორიტეტებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და მოიცავს სკოლის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა ასპექტს, მათ შორის, მისიისა და ხედვის განაცხადს, ინსტიტუციურ განვითარებას, ხარისხის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას, მოსწავლეთა კონტინგენტის დაგეგმვას, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, მოსწავლეთათვის განსახორციელებელ სერვისებს, ინფრასტრუქტურასა და სხვა.

სტრატეგიული დაგეგმვა ეფუძნება სკოლის განვითარების პროგნოზირებადი მიმართულებებისა და სკოლის საქმიანობის შეფასების შიდა და გარე ფაქტორების ანალიზს (SWOT ანალიზი). სკოლის სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი) მოიცავს სტრატეგიაში ასახული პრიორიტეტების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

სტრატეგიული დაგეგმვა მოიცავს შემდეგ სამუშაოებს: სკოლის მისიისა და ხედვის განაცხადის შემუშავება, გადახედვა-განახლება; შეხვედრები სკოლის ადმინისტრაციას, პერსონალს, და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის, სადაც განხილული იქნება ადმინისტრაციისა და სამუშაო ჯგუფის ხედვები სკოლის პრიორიტეტებისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ; არსებული სიტუაციისა და გამოწვევების ანალიზი, SWOT ანალიზი, რომელიც სრულდება სკოლის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების, დასაქმებული პირების და მოსწავლეების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესწავლის საფუძველზე; სტრატეგიული მიზნებისა და

შვიდწლიანი (გრძელვადიანი) სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა (2022-2028)

ამოცანების განსაზღვრა ძირითადი საკვანძო ინდიკატორებისა და საჭირო ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების ანალიზის საფუძველზე; სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება სტრატეგიული განვითარების მიზნებისა და ამოცანების რეალიზებისათვის აუცილებელი ქმედებების იდენტიფიცირებით, ამ ქმედებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები და ფინანსური რესურსები; სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შემუშავება. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები ექვემდებარება მონიტორინგს, შეფასებას და გაუმჯობესებას. მონიტორინგი სრულდება სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმაში ასახული მაჩვენებლებისა და გაწერილი ვადების მიხედვით სპეციალურად შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის ან/და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ.

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის შედეგებზე წლიურ ანგარიშს აკეთებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. შესაბამისი ანგარიში წარედგინება დირექტორს. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულებაზე სრულ ანგარიშს ამზადებს სკოლის აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც წარუდგენს შპს ედისონის სახელობის სკოლა ნოვაციის პარტნიორთა კრებას, რომელიც განიხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულებაზე, შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოყოფაზე.

გეგმის შემუშავებისას განხორციელდა სკოლის არსებული საქმიანობისა და მარკეტინგული აქტივობების შესწავლა და ანალიზი, მისი დასახულ მიზნებთან შესაბამისობის დადგენის, ძლიერი და სუსტი მხარეების, საჭირო სტრუქტურული და ფუნქციონალური ცვლილებების განსაზღვრის მიზნით. გეგმის საბოლოო ვარიანტში გათვალისწინებულ იქნა სკოლის დირექტორისა და თანამშრომლების მოსაზრებები, რეკომენდაციები და შენიშვნები.

საზოგადოებასთან ურთიერთობა და სკოლის ცნობადობის მიმართულებით მუშაობა მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

კონკურენტული გარემო – თბილისში ვაზისუბანში არის მხოლოდ საჯარო სკოლები გადატვირთული კონტიგენტით და არ არსებობს სხვა კერძო სკოლა, რაც მოსწავლეთა კონტიგენტის მოზიდვის და გაზრდის შესაძლებლობას აძლევს სკოლას.

შვიდწლიანი (გრძელვადიანი) სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა (2022-2028)

სკოლის მარკეტინგული სტრატეგიის საფუძველი მის გრძელვადიან ხედვაში მდგომარეობს, რომლის შესაბამისად სკოლა შვიდ წელიწადში იქნება ძლიერი კონკურენტული საგანმანათლებლო დაწესებულება.

შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა განსაზღვრავს სკოლის ხედვასა და მისიის შესრულებას.

სტრატეგიული მიზნები და ძირითადი მიმართულებები:

1. ძლიერი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა;
2. ზოგადი განათლების სფეროს განვითარება;
3. სკოლის ბრენდის გაძლიერება;
4. ჯანსაღი, უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა;
5. კვალიფიციური და გამოცდილი ადამიანური რესურსის მოზიდვა, შენარჩუნება, პროფესიული განვითარების მხარდაჭერა;
6. სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, თანამედროვე მეთოდების დანერგვა;
7. სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
8. სკოლის კულტურის გაუმჯობესება; დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნა;
9. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია.

შვიდწლიანი (გრძელვადიანი) სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა (2022-2028)

N	განსახორციელებელი აქტივობა	პასუხისმგებელი პირი	განხორციელების დრო
1	სკოლის შენობის კეთილმოწყობა. შენობის მდგრადობის შემოწმება; შენობის რეკონსტრუქცია და ახალი სართულის დამატება	დირექტორი	2022-2025
2	კომპიუტერული ტექნიკის შეძენა, რაოდენობის გაზრდა, ტექნოლოგიების დანერგვა; ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია;	დირექტორი ბუღალტერი	2025-2026
3	სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი და საცნობარო მასალით გამდიდრება. ელექტრონული წიგნადი ფონდის შექმნა	ბიბლიოთეკარი	2022-2024
4	სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა; საცურაო აუზის მოწყობა სპორტული ინვენტარის გაუმჯობესება SMART დაფებით საკლასო ოთახების აღჭურვა STEM და რობოტიკის ლაბორატორიის აღჭურვა შესაბამისი მოწყობილობებით და ტექნიკით ჟურნალისტიკის კაბინეტის მოწყობა.	დირექტორი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი	2022-2025
5	თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესებისა და სამუშაო გარემოს ორგანიზება	დირექტორი დირექტორის მოადგილე	2023- 2025
6	ჯანსაღი, უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნა - სკოლის ტერიტორიის დაცვა - წესრიგის მექანიზმების მონიტორინგი,გაუმჯობესება - სკოლის ექიმის შეხვედრები მოსწავლეებთან ჰიგიენის - ნორმების, პირადი სივრცის დაცვისა და ჯანსაღი კვების საკითხებზე - სკოლის ფსიქოლოგის მიერ შეხვედრები - მოსწავლეებთან კონფლიქტების მართვაზე, თანატოლებთან ურთიერთობაზე, უცხო ადამიანებთან მოქცევის წესსა და გენდერულ საკითხებზე.	დირექტორი დირექტორის მოადგილე უსაფრთხოების მანდატური ექთანი	2022-2023

შვიდწლიანი (გრძელვადიანი) სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა (2022-2028)

	სარეკლამო კამპანიის დაგეგმვა და წარმოება	დირექტორი დირექტორის მოადგილე საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	2022-2028
7	მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში	კლასის დამრიგებელი დირექტორის მოადგილე საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	2022-2024
8	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; პერსონალისა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვა; მასწავლებელთა მობილობა საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, Erasmus+ Mobility Exchange პროგრამებში ჩართვა.	ადამიანური რესურსების მენეჯერი კათედრები დირექტორი	2022-2028

9	მენეჯმენტის ჯგუფის პროფესიული განვითარების მექანიზმის შემუშავება; ადმინისტრაციის მუშაობის ეფექტიანობის განსაზღვრის კრიტერიუმების შემუშავება და მონიტორინგი; კვალიფიციური და გამოცდილი ადამიანური რესურსის მოზიდვა, შენარჩუნება, პროფესიული განვითარების მხარდაჭერა;	პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი	
10	სკოლის კულტურის გაუმჯობესებაზე ზრუნვა შიდა სასკოლო ურთიერთობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა	დირექტორი დირექტორის მოადგილე სასკოლო საზოგადოება	2022-2028
11	გარე პარტნიორული ურთიერთობების განვითარება - სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება საერთო ღონისძიებების და ოლიმპიადების ორგანიზების მიზნით; - გაცვლით პროგრამებში პედაგოგთა და	დირექტორი საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	2022-2028

	მოსწავლეთა მონაწილეობისთვის შესაბამისი პარტნიორული ურთიერთობების დაგეგმვა და გაღრმავება არასამთავრობო ორგანიზიებთან და საერთაშორისო ცენტრებთან; - პარტნიორი ურთიერთობების დამყარება უნივერსიტეტებთან მოსწავლეთა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიზნით, მოსწავლეთა ჩართვა უნივერსიტეტების და სხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, უნივერსიტეტების მოწვევა სკოლაში; - ზაფხულისა და ზამთრის ბანაკების მოწყობა - პარტნიორული ურთიერთობების დამყარება კომპანიებთან მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავების მიზნით სხვადასხვა სფეროში.		
12	სხვადასხვა თემატური პროექტების განხორციელების მიზნით პარტნიორი ორგანიზაციების მოძებნა, მათთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება	დირექტორი საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	2023-2028
13	„სკოლის მეგობართა კლუბის“ ჩამოყალიბება, სკოლის პოპულარიზაციისა და ინიციატივების მხარდასაჭერად	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	2022-2028
14	ცვალებად გარემო პირობებზე ადაპტირების ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა	დირექტორი დირექტორის მოადგილე	2022-2023
15	დაინტერესებულ (ჩართულ) მხარეებთან კომუნიკაციის მექანიზმის ამოქმედება	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	2023-2028
16	სტრატეგიული გეგმის მიზნების მიღწევის მიმდინარე მონიტორინგის განხორციელება	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი სკოლის დირექტორი	2023-2028
17	სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, თანამედროვე მეთოდების დანერგვა;	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი სკოლის დირექტორი კათედრები, პედაგოგიური საბჭო პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი	2022-2028

18	დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნა.	სასკოლო საზოგადოება	2022-2028

მენეჯმენტის გამოკითხვის, აგრეთვე, არსებული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა სკოლის მდგომარეობა კონკურენტული გარემოს დახასიათების მიმართულებით. სამუშაო შეხვედრის დროს კი განხორციელდა სკოლის SWOT ანალიზი.

SWOT ანალიზი

ძლიერიმხარეები

- სტაბილური ფინანსური რესურსები;
- კვალიფიციური პერსონალი;
- ძლიერი მატერიალური რესურსი;
- თანამშრომლობითი გარემო;
- მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები;
- უსაფრთხო სასკოლო-სასწავლო გარემო;
- სკოლის ინფრასტრუქტურა;
- პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული თანამშრომლები;

სუსტი მხარეები:

- სკოლას არა აქვს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გამოცდილება;
- სკოლას არ ჰყავს მოსწავლეები;
- დასანერგია მოსწავლეთა სერვისები;
- დასანერგია ელექტრონული ჟურნალი;
- დასანერგია სწავლების თანამედროვე მეთოდები;

- დასანერგია თანამედროვე ტექნოლოგიები;
- სკოლის პერსონალს შორის გენდერული ბალანსი;

განვითარების შესაძლებლობები:

- ავტორიზაციის მიღება და სამივე საფეხურზე საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება;
- ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება;
- სასწავლო პროცესის განვითარება საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირება;
- საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- მოსწავლეების მოზიდვა და მათი რაოდენობის ეტაპობრივი გაზრდა;
- ადგილობრივ და საზღვარგარეთის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებეთან თანამშრომლობა;
- სასწავლო რესურსების შექმნა;
- თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდების დანერგვა;
- ზაფხულისა და ზამთრის შემეცნებით-გასართობი ბანაკების მოწყობა;
- ინფრასტუქტურული პროექტების განხორციელება;

რისკები:

- სოციალ-ეკონომიკური მდგომარება, მოსახლეობის მძიმე სოციალური ფონი;
- ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები;
- სკოლის ტერიტორიული მდებარეობა;
- კონკურენტული გარემო ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში;
- ინგლისური ენის მცოდნე პერსონალის ნაკლებობა;
- პანდემია.

მოსალოდნელი შედეგები:

- დანერგილია ცვალებად გარემო პირობებზე ადაპტირების ეფექტიანი მექანიზმები;
- ამოქმედებულია დაინტერესებულ (ჩართულ) მხარეებთან კომუნიკაციის მექანიზმი;
- შემუშავებულია მენეჯმენტის ჯგუფის პროფესიული განვითარების მექანიზმი;
- დანერგილია სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხი;
- დანერგილია სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები;
- ჩამოყალიბებულია „სკოლის მეგობართა კლუბი“, რომელიც ეწევა სკოლის პოპულარიზაციას და ინიციატივების მხარდაჭერას;

- პერსონალისა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი მექანიზმები;
- სტრატეგიული გეგმის მიზნების მიღწევის მიმდინარე მონიტორინგის განხორციელება;

- ადმინისტრაციის მუშაობის ეფექტიანობის განსაზღვრის კრიტერიუმების შემუშავება და მიმდინარე მონიტორინგი;
- სკოლას, როგორც ბრენდს იცნობს საზოგადოება;
- ზოგადი განათლების სფეროს განვითარებაში წვლილის შეტანა;
- ჯანსაღი, უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემო სკოლაში;
- განვითარებული სკოლის ინფრასტრუქტურა და ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- მაღალი სასკოლო კულტურა, დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო სკოლაში;
- ინფორმაციული ტექნოლოგიები დანერგილია.

სკოლას მნიშვნელოვანი შესაძლებლობები უჩნდება, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე შინაარსობრივი განვითარების კუთხით, რაც ძირითადად უცხოური კავშირების დამყარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთანაა დაკავშირებული. სკოლას შეუძლია თვისობრივად ახალ საფეხურზე გადავიდეს და გააფართოვოს საკუთარი საქმიანობის არეალი და მოახდინოს სერვისების მნიშვნელოვანი გამრავალფეროვნება.